

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური
მედიცინა,,

ნინო რუხაძე

**ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და გამოსავლები აივ/შიდსით პაციენტებში
საქართველოში 2012-2017 წწ**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

თენგიზ ცერცვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინფექციური დაავადებებისა და
კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი;

ლალი შარვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ინფექციური დაავადებებისა და კლინიკური იმუნოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

თბილისი

2021 წელი

აბსტრაქტი

მიზანი: შესწავლილ იქნა ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და გამოსავლები ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ბაზაზე ჰოსპიტალიზებულ აივ/შიდსით პაციენტებში.

მეთოდოლოგია: რეტროსპექტრული ანალიზი, რომელიც მოიცავდა ყველა ჰოსპიტალიზებულ აივ ინფიცირებულ პაციენტს 24 საათზე მეტი ხნით დაყოვნებით. მონაცემები შეგროვდა ავადმყოფობის ისტორიებიდან. ჰოსპიტალიზაციის მიზეზების ტენდენციები და სიკვდილობა შეფასდა adjusted test for trend-ის მიხედვით. სიკვდილობასთან ასოცირებული ფაქტორები შეფასდა მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზით. შიდს-ასოცირებული ჰოსპიტალიზაცია დაიყო სამ კატეგორიად: მძიმე შიდსი (>15%), საშუალო სიმძიმის შიდსი (5-15%); 3) და მსუბუქი სიმძიმის შიდსი (<5%).

შედეგები: 2012-2017 წლებში ჰოსპიტალიზაციის ჯამური რაოდენობა შეადგენდა 2085-ს, ხოლო ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა ჯამური რაოდენობა იყო 1123-ი. აივ ინფექციის დიაგნოსტიკებისას 72.3% (814/1123) პაციენტებს CD4 ლიმფ აბს რიცხვი <350 და 51.9% (583/1123) პაციენტებისა ჰოსპიტალიზებულ იქნა აივ დიაგნოსტიკებიდან პირველ 3 თვეში. 931 (44.7%) ჰოსპიტალიზირებულ იქნა შიდს ასოცირებული დაავადებებით და 1154 (55.3%) არა შიდს ასოცირებული დაავადებით. შიდს ასოცირებული დაავადებებით მიმართვიანობა 2012 წელს შეადგენდა 50.3%-ს, ხოლო 2017 წელს 41.6% (p=0.16). ჯამში, 167 (8%) ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთან დადგა ლეტალური გამოსავალი, შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციისას დაფიქსირდა უფრო მაღალი სიკვდილობა (11.5% vs. 5.2%, p<0.0001). 2012 – 2017 წლებში სიკვდილობა შემცირდა 9.0% დან 4.5%-მდე (p=0.18), შიდს ასოცირებული სიკვდილობა 13.9%-დან 5.1%-მდე შემცირდა (p=0.09). 167 ლეტალური გამოსავლიდან 137 (82.0%) პაციენტთან CD4 ლიმფ. აბს რიცხვი <200 მმ³ ჰოსპიტალიზაციისას, ხოლო 88.8% (95/107) ჰოსპიტალიზაცია განპირობებული იყო შიდს ასოცირებული დაავადებებით. მულტივარიაციული ანალიზით მძიმე შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაცია დაკავშირებული იყო სიკვდილობის მაღალ მაჩვენებელთან, არა

შიდს ასოცირებულ ჰოსპიტალიზაციასთან შედარებით (OR 3.55, 95%-CI: 1.70-7.40). სიკვდილობის მაღალ მაჩვენებელთან ასევე ასოცირებული იყო როგორც CD4 აბს რიცხვი <50, ისე CD4 აბს რიცხვი 50-100, CD4 აბს რიცხვი >200 შედარებით (OR 3.34, 95%- CI: 1.83-6.09 and OR 2.06, 95% CI: 1.08-3.95).

დასკვნა: შიდს ასოცირებული დაავადებები რჩება ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილობის მნიშვნელოვან მიზეზად საქართველოში. შიდს ასოცირებული ავადობისა და სიკვდილობის შესამცირებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადრეული დიაგნოსტიკის გაუმჯობესება.

Abstract

Objectives: We assessed trends in causes and outcomes of hospitalization among HIV patients receiving care at the Infectious Diseases, AIDS and Clinical Immunology Research Center (IDACIRC).

Methods: Retrospective analysis included adult HIV patients admitted to IDACIRC for at least 24 hours. Data were abstracted through chart review. Trends in causes of hospitalizations and mortality were tested using an adjusted test for trends. Factors associated with mortality were evaluated in multivariate logistic regression analysis. AIDS admissions were split into 3 groups based on mortality rates for the individual AIDS diseases: severe (>15%), moderate (5-15%), and mild (<5%).

Results: A total of 2085 hospitalizations among 1123 HIV patients were registered over 2012-2017. 72.3% (814/1123) of patients had CD4 count<350 at time of HIV diagnosis and 51.9% (583/1123) of patients were hospitalized within 3 months of HIV diagnosis. 931 (44.7%) hospitalizations were due to AIDS-defining conditions and 1154 (55.3%) were due to non-AIDS conditions. AIDS conditions accounted for 50.3% of admissions in 2012 and 41.6% in 2017 (p=0.16). Overall, 167 hospitalizations (8.0%) resulted in lethal outcome, AIDS admissions had higher mortality (11.5% vs. 5.2%, p<0.0001). Between 2012 and 2017 overall mortality decreased from 9.0% to 4.5% (p=0.18), deaths following AIDS admissions decreased from 13.9% to 5.1% (p=0.09). Among 167 deceased patients 137 (82.0%) had CD4 count <200 at the time of hospitalization, including 88.8% (95/107) among AIDS admissions. In multivariate analysis, severe AIDS admission was associated with significantly higher odds of mortality compared to non-AIDS admission (OR 3.55, 95%-CI: 1.70-7.40). CD4 cell counts of <50 and 50-100 at hospitalization were also significantly associated with mortality compared to >200 (OR 3.34, 95%-CI: 1.83-6.09 and OR 2.06, 95% CI: 1.08-3.95).

Conclusion: AIDS remains a significant cause of hospitalization and fatal outcome in Georgia. Earlier diagnosis of HIV is critical for decreasing AIDS hospitalizations and mortality.

Conclusion: Active AIDS disease remains a significant cause of hospitalization and fatal outcome in Georgia. Earlier diagnosis of HIV is critical for decreasing AIDS hospitalizations and mortality.

სარჩევი

აბსტრაქტი	ii
სარჩევი	v
აბრევიატურები	vii
შესავალი	1
თემის აქტუალობა	1
მიზანი და ამოცანები	9
სიახლე და პრაქტიკული ღირებულება	10
მასალა და მეთოდები	11
კვლევის დიზაინი და პოპულაცია	11
აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების მოდელი	12
მონაცემთა წყარო	13
დეფინიციები	14
ჰოსპიტალიზაციის მიზეზები	14
სიკვდილის მიზეზები	15
სტატისტიკური ანალიზი	15
კვლევის შედეგები	16
აივ/შიდს-ის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები და ტენდენციები	16
აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციის მიზეზებისა და გამოსავლების შესწავლა აივ/შიდსის რეფერალ დაწესებულებაში	19
განხილვა	32
დასკვნები და რეკომენდაციები	38
გამოყენებული ლიტერატურა	43
დანართი 1. შიდს-ასოცირებული სიკვდილის მიზეზები	50
დანართი 2. სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე	52
დანართი 3. სადისერტაციო ნაშრომის თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები	69

გამოყენებული დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. ახლად დიაგნოსტირებულ პაციენტთა რაოდენობა საქართველოში	3
დიაგრამა 2. აივ/შიდსის შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით	4
დიაგრამა 3. განაწილება გადაცემის გზების მიხედვით: ყოველწლიური დინამიკა	5
დიაგრამა 4. არვ თერაპიაზე მყოფი პაციენტები საქართველოში	6
დიაგრამა 5. აივ ინფიცირებულ პაციენტთა სიკვდილიანობა საქართველოში	6
დიაგრამა 6. აივ გვიანი დიაგნოსტიკა საქართველოში	7
დიაგრამა 7. აივ კასკადი საქართველოში, 2019 წელი	7
დიაგრამა 8. ჰოსპიტალიზაციის ჯამური მაჩვენებელი, 2012-2017 წლებში	17
დიაგრამა 9. შიდს ასოცირებული და არა შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები - 2014-2017 წლებში	18
დიაგრამა 10. სიკვდილიანობის ტენდენცია ჰოსპიტალიზაციისას 2014-2017 წლებში	19
დიაგრამა 11. შიდს ასოცირებული და არა შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები - 2012-2017 წლებში	22
დიაგრამა 12. შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები 2012-2017წლებში (n=931)	23
დიაგრამა 13. არა შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები 2012-2017 წლებში(n=1154)	23
დიაგრამა 14. სიკვდილიანობის ტენდენცია ჰოსპიტალიზაციისას 2012-2017 წლებში	27
დიაგრამა 15. სიკვდილთან ასოცირებული ფაქტორების ლოჯისტიკური რეგრესიული ანალიზი	31

გამოყენებული ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. კვლევაში ჩართულ პაციენტთა მახასიათებლები პირველი ჰოსპიტალიზაციისას (n=1123)	20
ცხრილი 2. ჰოსპიტალიზაციის მიზეზები (n=2085)	24
ცხრილი 3. ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და თანმხლები დაავადებები	26
ცხრილი 4. სიკვდილობა ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში (n=2085)	29

აბრევიატურები

აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
შიდსი	შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
არვ	ანტირეტროვირუსული
მსმ	მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან
ნიმ	ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი
ცნს	ცენტრალური ნერვული სისტემა
ჯანმო	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
HBV	B ჰეპატიტის ვირუსი
HCV	C ჰეპატიტის ვირუსი
CDC	დაავადებათა კონტროლის ცენტრი
UNAIDS	გაეროს შიდსის პროგრამა
CoDe	აივ/შიდსის სიკვდილის კოდირების პროტოკოლიდან

შესავალი

შიდსი (შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) იწვევს. ორგანიზმში შეჭრის შემდგომ ის აზიანებს იმუნურ სისტემას და იმუნოდეფიციტის ფონზე უვითარდება სხვადასხვა ინფექციური ან/და სიმსივნური დაავადებები (ცერცვაძე, ნელსონი, ბუწაშვილი, & გოჩიტაშვილი, 1999). პირველად აივ/შიდსი კლინიკურად აღწერეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს, როდესაც ზედიზედ დიაგნოსტირებულ იქნა ისეთი იშვიათი დაავადებები, როგორცაა პნევმოციტური პნევმონია და კაპოშის სარკომა (Center for Disease Control and Prevention (CDC), 1981a, 1981b). 1982 წელს კი აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მიერ, შიდსი ოფიციალურად დარეგისტრირებული იქნა როგორც ახალი დაავადება. 1983 წელს შიდსის გამომწვევი ვირუსი ერთდროულად იქნა აღმოჩენილი საფრანგეთსა და აშშ-ში (Barre-Sinoussi et al., 1983; Gallo et al., 1983). დღეს-დღეობით აივ/შიდსის მკურნალობასა და პროფილაქტიკაში დანერგილმა თანამედროვე მიღწევებმა უზრუნველყო ეპიდემიის სტაბილიზაცია განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა მთელს მსოფლიოში აივ ინფიცირებულთა რიცხვი მუდმივად იზრდება, ვინიდან არ არსებობს ინფექციის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინა და ის კვლავაც რჩება განუკურნებელ დაავადებად.

თემის აქტუალობა

აივ/შიდსის ეპიდემია კვლავ რჩება დინამიკურ და მზარდი ხასიათის ეპიდემიად და გლობალური ჯანდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევად.

გაეროს შიდსის პროგრამის (UNAIDS) მონაცემებით 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით 37,6 მილიონ ადამიანს აქვს დიაგნოსტირებული აივ ინფექცია, მათგან 1,5 მილიონი ადამიანი ახლად დიაგნოსტირებულია. აქედან 35,9 მილიონი ადამიანი ზრდასრულია, ხოლო 1,7 მილიონი - ბავშვი. 27,4 მილიონი აივ ინფიცირებული იმყოფება არც თერაპიაზე, რაც 7,8 მილიონით მეტია 2010 წელთან შედარებით. 1998 წლის პიკის შემდგომ, 2020 წელთან შედარებით, ახლად ინფიცირებულთა რაოდენობა

47%-ით შემცირდა. 2004 წლის პიკის შემდგომ შიდა ასოცირებული სიკვდილობა 61%-ით შემცირდა და 2020 წელს 690 000 შეადგენდა. აივ ინფექციის ახალი შემთხვევები 2010 წლიდან შემცირდა 23%-ით, რაც მეტწილად მოდის აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებზე. აივ ინფექციის ახალმა შემთხვევებმა მოიმატა 72%-ით აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიაში, 22%-ით შუა აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში, და 21%-ით ლათინურ ამერიკაში (UNAIDS, 2020). პროგრესის მიუხედავად მსოფლიოში კვლავ მაღალია აივ/შიდსთან დაკავშირებული ავადობა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით სიკვდილობის წამყვან მიზეზებს შორის აივ/შიდსი მე-6 ადგილზეა.

აივ/შიდსის ეპიდემიასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აივ/შიდსის სამკურნალო ანტირეტროვირუსულ (არვ) მკურნალობას. პირველი არვ მედიკამენტის – ზიდოვუდინის გამოყენება დაიწყო 1980-იან წლებში მონოთერაპიის სახით (Fischl et al., 1987). თანამედროვე აივ/შიდსის მკურნალობის პრინციპების დაინერგა 1996 წლიდან, მას მერე რაც მეცნიერებმა პირველად დაასაბუთეს 3-კომპონენტური მკურნალობის ეფექტურობა. (Gulick et al., 1997; Hammer et al., 1997).


მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის დანერგვამ დრამატულად შეამცირა აივ/შიდსთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილობა (Mocroft et al., 2003; Mocroft et al., 2010; Mocroft et al., 1998; Morris, Wachter, Luce, Turner, & Huang, 2003), რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა აივ/შიდსით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებელი, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი. არვ თერაპიის ხელმისაწვდომობამ მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში შეამცირა აივ ინფიცირებულ პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის სიხშირე და შიდა ინდიკატორული დაავადებებით მიმართვიანობა (Buchacz et al., 2008; Davy-Mendez et al., 2019; Mocroft et al., 2004). 106 კოჰორტული კვლევის სისტემურმა მიმოხილვამ და მეტა-ანალიზმა მსოფლიოს მასშტაბით აჩვენა, რომ შიდა ასოცირებული მიზეზით ჰოსპიტალიზაცია მეტად გვხვდება დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ხოლო არა შიდა ასოცირებული - ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში (Ford et al., 2015). მწირია ინფორმაცია აივ ინფიცირებულ პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის მიზეზების შესახებ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ ფიქსირდება აივ

ინფიცირების ახალი შემთხვევების მზარდი მატება და შიდს ასოცირებული სიკვდილიანობა (UNAIDS, 2020).

საქართველოში, პირველად აივ ინფექციის დიაგნოზი დაისვა 1989 წელს. 2020 წლის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია აივ/შიდსის 8 598 შემთხვევა, მათგან შიდსი განუვითარდა სულ 4 441 ავადმყოფს და 1781 მოკვდა.


საქართველო აივ ინფექციის დაბალი პრევალენტობის (0,4%) ქვეყნებს მიეკუთვნება და ინფიცირებულთა სავარაუდო რიცხვი შეადგენს 9 100. თუ გადავხედავთ ბოლო წლებში რეგისტრირებულ ახალ შემთხვევათა რაოდენობას, ვნახავთ რომ აღინიშნება ახალი შემთხვევების ნელი, მაგრამ სტაბილური ზრდა (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. ახლად დიაგნოსტირებულ პაციენტთა რაოდენობა საქართველოში




აივ ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით პირველ ადგილზეა ჰეტეროსექსუალური კონტაქტი - 49,2%, რასაც მოსდევს ნარკოტიკების ინექციური მოხმარება - 36,3%, ჰომოსექსუალური კონტაქტი - 12,2%, ვერტიკალური გზით (დედიდან ბავშვზე) ინფიცირება - 1.3%, აივ ინფიცირებული სისხლის გადასხმა 0.5%, ხოლო 0.6%-ში დაინფიცირების გზა უცნობია (დიაგრამა 2). საქართველოში ეპიდემიის დაწყების დღიდან გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფთა 20.7% მოკვდა.

დიაგრამა 2. აივ/შიდსის შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით 2020 წელი.




2004 წლიდან დღემდე ასევე შეიმჩნევა აივ ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით გავრცელების ტენდენციის ცვლილება. 2004-2020 წლებში მკვეთრად იკლო აივ ინფექციის ინექციური გზით გავრცელების შემთხვევებმა, თუმცა შეინიშნება სქესობრივი გზით გავრცელების მატება, როგორც ჰეტეროსექსუალურ, ისე მსმ პოპულაციაში (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. განაწილება გადაცემის გზების მიხედვით: ყოველწლიური დინამიკა




2004 წლიდან, შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ხელშეწყობით, საქართველოში ანტირეტროვირუსული მკურნალობის უნივერსალურმა ხელმისაწვდომობამ, ხოლო 2015 წლიდან „ვუმკურნალოთ ყველას“ (იმუნური სტატუსისა ან/და დაავადების სტადიის მიუხედავად) პროტოკოლის დანერგვამ (დიაგრამა 4), მნიშვნელოვნად შეამცირა აივ ინფიცირებულ პაციენტებში შიდს ასოცირებული ავადობა და სიკვდილობა (დიაგრამა 5) (Chkhartishvili et al., 2014). თუმცა, მიუხედავად ამისა, შიდსთან დაკავშირებული ავადობისა და სიკვდილობის პრობლემა კვლავაც წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, რაც მეტწილად დაკავშირებულია აივ ინფექციის გვიან დიაგნოსტიკასთან (დიაგრამა 6) (Chkhartishvili et al., 2016). ახლად დიაგნოსტირებულ პაციენტთა ნახევარზე მეტს დიაგნოზი დაესვა გვიან (CD4 ლიმფოციტების აბს რიცხვი <350 უჯრ/მმ³ ან/და შიდსი) (Chkhartishvili et al., 2017).


დიაგრამა 4. არვ თერაპიაზე მყოფი პაციენტები საქართველოში



დიაგრამა 5. აივ ინფიცირებულ პაციენტთა სიკვდილიანობა საქართველოში




დიაგრამა 6. აივ გვიანი დიაგნოსტიკა საქართველოში



დიაგრამა 7-ში წარმოდგენილია აივ ინფიცირებულ პაციენტთა კლინიკურ სერვისებში ჩართულობა. აივ ინფიცირებულთა სავარაუდო რიცხვი შეადგენს 9100, რომელთაგან 65% უკვე დიაგნოსტირებულია აივ ინფექცია. დიაგნოსტირებულ პაციენტთა 86% იმყოფება არც თერაპიაზე და მათგან 91% ვირუსი სუპრესირებულია. რაც კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ წარმოაჩენს რომ პრობლემა კვლავ პაციენტთა დროულ გამოვლინებასა და დიაგნოსტიკაშია.

დიაგრამა 7. აივ კასკადი საქართველოში, 2019 წელი

აივ კასკადი საქართველოში, 2019



ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აივ ინფიცირებულ პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის მიზეზების, გამოსავლებისა და მათთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, აღნიშნული მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. რაც სამომავლოდ დაეხმარება ჯანდაცვის ორგანიზატორებსა და კლინიცისტებს, შეიმუშავონ და დანერგონ აივ/შიდსის კლინიკური მართვის ეფექტური ღონისძიებები.

მიზანი და ამოცანები

წარმოდგენილი შრომა მიზნად ისახავს საქართველოში აივ/შიდსით ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის მიზეზებისა და გამოსავლების შეფასებას, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენასა და აღნიშნული მოდელის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას.

ამ მიზნით მოხდა აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზებული აივ ინფიცირებულ პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების, ტენდენციების, მიზეზებისა და გამოსავლების შესწავლა.

გამოსავლად განისაზღვრა პაციენტის გაწერა (ბინაზე ან/და სხვა ჰოსპიტალში გადაყვანა) ან სიკვდილი.

თითოეულ პაციენტზე შეგროვდა შემდეგი ინფორმაცია: დემოგრაფიული, ეპიდემიოლოგიური, ჰოსპიტალიზაციის მიზეზი, არც მკურნალობის ისტორია, შიდსის დიაგნოზის ისტორია, თანხმლები დაავადებები, CD4 აბსოლუტური რიცხვი და აივ ვირუსული დატვირთვა აივ ინფექციის დიაგნოსტიკისას და ჰოსპიტალიზაციის მომენტში.

აღნიშნული მიზანის შესასრულებლად დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. აივ/შიდს-ის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლებისა და ტენდენციების დადგენა.
2. აივ/შიდს-ის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციის მიზეზებისა და გამოსავლების შესწავლა აივ/შიდსის რეფერალ დაწესებულებაში.

სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის დანერგვამ მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეამცირა აივ/შიდსთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილობა, რაც კარგად არის შესწავლილი და აღწერილი მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში (დასავლეთ ევროპა, აშშ და ა.შ.), თუმცა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში აივ ინფიცირებულ პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის მიზეზებისა და გამოსავლების შესახებ ინფორმაცია მწირია. რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ ფიქსირდება მზარდი ტენდენცია აივ ინფიცირების ახალი შემთხვევებისა და შიდს ასოცირებული ავადობა და სიკვდილიანობა, წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას.

ჩვენი კვლევის შედეგად საქართველოში პირველად მოხდა აივ/შიდსით პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და გამოსავლების შესწავლა. კვლევა მოიცავს 2012-2017 წლებს.

პირველ რიგში დადგინდა, ზოგადად, რა გავლენა მოახდინა მაღალაქტიურმა ანტირეტროვირუსულმა თერაპიამ ჰოსპიტალიზაციის მიზეზებსა და გამოსავლებზე. აივ ინფიცირებულ პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის მიზეზების, გამოსავლებისა და მათთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მკვეთრად გააუმჯობესებს აივ ინფიცირებულ პაციენტთა მკურნალობისა და მოვლის ხარისხს. ხოლო სიკვდილობისა და სიკვდილთან ასოცირებული რისკის ფაქტორების შესწავლა კი ხელს შეუწყობს კლინიცისტებსა და ჯანდაცვის ორგანიზატორებს შეიმუშავონ და დანერგონ აივ/შიდსის კლინიკური მართვის ეფექტური მეთოდები.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშავდა რეკომენდაციები. სამომავლოდ, მათი დანერგვა ხელს შეუწყობს აივ/შიდსის დროულ დიაგნოსტიკას, მკურნალობისა და მოვლის სერვისებში ჩართულობასა და შესაბამისად, კლინიკურ გამოსავლების გაუმჯობესებას.

მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის (შიდსის ცენტრი) რეფერალური ჰოსპიტალის ბაზაზე, რომელიც წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების კათედრის ბაზას.

კვლევის დიზაინი და პოპულაცია

დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ჩატარდა რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა, რომელმაც მოიცვა ყველა ზრდასრული (ასაკი ≥ 18 წელი), აივ/შიდსით ≥ 1 წელიწადი ინფიცირებული ჰოსპიტალიზირებული ავადმყოფი. ჰოსპიტალიზაციად ჩაითვალა სტაციონარში 24 საათზე მეტი ხანით დაყოვნება. დაკვირვების პერიოდი განსხვავებული იყო ამოცანების მიხედვით.

ამოცანა 1. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები შეფასდა 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავდა აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზებულ ყველა შემთხვევას, რომელიც განხორციელდა აივ/შიდსის სერვისების მიმწოდებელ კლინიკებში საქართველოს მასშტაბით (თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში).

ამოცანა 2. ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და გამოსავლები შეფასდა 2012 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მოიცვა აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრში განხორციელებული ჰოსპიტალიზაცია.

აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების მოდელი

საქართველოში შიდსის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ფუნქციონირებს 1995 წლიდან, მის ფარგლებში ხორციელდება აივ ინფიცირებულ პაციენტთა მკურნალობა და მოვლა. აივ ინფექცია/შიდსის კლინიკური სამსახურის სათაო დაწესებულებაა ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი (შიდსის ცენტრი). კლინიკური სერვისების მიწოდება ხდება შიდსის ცენტრში და სპეციალიზებულ ცენტრებში (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი) მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ამბულატორიულ, ისე ჰოსპიტალურ სექტორში. ყველა ამ ცენტრის მომსახურება უფასოა. არსებულ ცენტრებში ხდება აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკა, პაციენტთა მკურნალობა და მოვლა. შიდსის ცენტრის ამბულატორიული განყოფილება ემსახურება ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ აივ ინფიცირებულ პაციენტთა 65%-ს, ხოლო ჰოსპიტალურ სექტორში პაციენტთა 59%-ს ფარავს.

ამ პროგრამის ფარგლებში შიდსის ცენტრი ახორციელებს ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში როგორც აივ/შიდსისა და სხვა ინფექციური დაავადებების მართვას, მათ შორის ვირუსული ჰეპატიტების, ისე აივ ინფექცია/ შიდსის არა ინფექციური გართულებების მართვასა და მეთვალყურეობას. ხოლო პაციენტები, რომლებიც ჰოსპიტალიზებულ არიან შიდსის ცენტრში სხვა არაგადამდები დაავადებებით, შესაძლოა გადამისამართებულ იყოს სხვა კლინიკებში შემდგომი მკურნალობისა და მეთვალყურეობისათვის.

მონაცემთა წყარო

კვლევისათვის საჭირო მონაცემები შეკრებილ იქნა:

1. აივ/შიდსის კლინიკური სერვისების თითოეული მიმწოდებლისგან. კერძოდ, გამოთხოვილი იქნა ჯამური ინფორმაცია ჰოსპიტალიზაციის და სიკვდილის რაოდენობის შესახებ და მიღებული მონაცემების შედარება მოხდა პროგრამულ ანგარიშებთან.
2. ავადმყოფობის ისტორიებიდან ცალკეული ჰოსპიტალიზაციის შესახებ. მრავლობითი ჰოსპიტალიზაციის მქონე პაციენტებში, თითოეული ჰოსპიტალიზაცია განხილულ იქნა დამოუკიდებელ შემთხვევად.
3. აივ/შიდსის ეროვნული მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, რომელიც წარმოადგენს ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საინფორმაციო სისტემას. ის ჩართულია ქვეყნის მასშტაბით არსებული შიდსის სამკურნალო ყველა ცენტრში. ბაზა მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას საქართველოში გამოვლენილ ყველა აივ/შიდსით ავადმყოფზე, მათ შორის დემოგრაფიულ, ეპიდემიოლოგიურ, კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებს.

დეფინიციები

ჰოსპიტალიზაციის მიზეზები

ჰოსპიტალიზაციად ჩაითვალა პაციენტის სტაციონარში 24 საათზე მეტ ხანს დაყოვნება. პაციენტებს, რომელთაც ჰქონდათ მრავლობითი ჰოსპიტალიზაცია, თითოეული ფასდებოდა დამოუკიდებელ შემთხვევად. გაწერის დიაგნოზის მიხედვით შეფასდა ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და დაიყო 2 ძირითად ჯგუფად: შიდს ასოცირებულ და არა შიდს ასოცირებულ დაავადებებად.

შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები ფასდებოდა U.S. CDC კლინიკური კლასიფიკაციის სისტემით (Centers for Disease Control and Prevention, 2014). ასევე ამ დიაგნოზებს დაემატა ჰოჯკინის და არაჰოჯკინის ლიმფომა და ვისცერული ლეიშმანიოზი, რომელიც დაემატა აივ/შიდსის სიკვდილის კოდირების პროტოკოლიდან (CoDe) (Kowalska et al., 2011).

შიდს-ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები დაიყო 3 ჯგუფად: 1. მძიმე აივ/შიდს ასოცირებული დაავადებები (შიდს ასოცირებული ლიმფომა და პროგრესირებადი მულტიფოკალური ლეიკოენცეფალოპათია), 2. საშუალო სიმძიმის (კრიპტოკოკოზი, ცერებრული ტოქსოპლაზმოზი, აივ ასოცირებული დემენცია, ატიპიური მიკობაქტერიული ინფექცია და სხვა) და 3. მსუბუქი (ყველა სხვა აივ ასოცირებული დაავადებები) (Mocroft et al., 2009).

ყველა სხვა ჰოსპიტალიზაციის მიზეზი შეფასდა როგორც არა შიდს ასოცირებული და აღირიცხა დაავადებათა კოდირების სისტემით (ICD 10).

ღვიძლის დაავადებები დაიყო 2 ჯგუფად. 1. ღვიძლის ციროზი - როდესაც არ არის გამოხატული დეკომპენსაციის ნიშნები და 2. ღვიძლის ტერმინალური დაავადება (ESLD) ან ჰეპატოცელულარული კარცინომა.

ჰოსპიტალიზაციის მიზეზები, რომელიც გვხვდებოდა 1%-ზე ნაკლები სიხშირით, გაერთიანდა ჯგუფში „სხვა“, როგორც შიდს ასოცირებულ, ისე არა შიდს ასოცირებულ დაავადებების შემთხვევაში.

სიკვდილის მიზეზები

სიკვდილი განისაზღვრა, როგორც შიდსის ცენტრში ჰოსპიტალიზაციის ან/და გაწერიდან ან სხვა ჰოსპიტალში გადაყვანიდან 2 კვირაში დამდგარი გამოსავალი. სიკვდილიანობა, განისაზღვრა სიკვდილის შემთხვევების რიცხვის გაყოფით ჰოსპიტალიზაციის რაოდენობაზე, რომელიც გამოითვალა ჰოსპიტალიზაციის თითოეული შემთხვევისთვის დამოუკიდებლად.

სიკვდილის მიზეზების კლასიფიკაციისთვის გამოყენებულ იქნა აივ/შიდსის სიკვდილის მიზეზების კოდირების პროტოკოლი (CoDe), რომელიც სპეციალურად შემუშავდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ. სიკვდილის მიზეზები დაიყო ორ ჯგუფად CoDe პროტოკოლის მიხედვით: შიდს-ასოცირებული და არა შიდს-ასოცირებული (Kowalska, et al., 2011).

არა შიდს-ასოცირებული სიკვდილის მიზეზებში გაერთიანდა ყველა ის დაავადება რომელიც არ მოხვდა პირველ კატეგორიაში, მათ შორის: ინფექციები, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტები, არა შიდს-ინდიკატორული ავთვისებიანი სიმსივნეები, შაქრიანი დიაბეტი, პანკრეატიტი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ინსულტი, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, ფილტვის დაავადებები, თირკმლის დაავადებები და სხვა.

სტატისტიკური ანალიზი

ამოცანა 1

ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები (100 PYFU თითოეულ მაჩვენებელზე გაანგარიშებულ იქნა 95% სარწმუნოების ინტერვალი (CI)) შეფასებულ იქნა ცალკეული კალენდარული წლისთვის ცალ-ცალკე ყოველ 100 აივ ინფიცირებულ

პაციენტზე გაანგარიშებით. ტენდენციის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კოკრან-არმიტიჯის ტესტი. $P < 0.05$ მიჩნეულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ.

ამოცანა 2

ჰოსპიტალიზაციის მიზეზებისა და გამოსავლების ანალიზი შესრულდა საშუალო \pm სტანდარტული გადახრის ან მედიის (IQR) გამოყენებით ყველა უწყვეტი ცვლადისთვის (ასაკის, ბიოქიმიური ნიშნების, CD4 რაოდენობის და ა.შ.) და კატეგორიული მონაცემების სიხშირე / პროცენტული მაჩვენებლის შეფასებით (სქესი, აივ ინფექციის გადაცემის გზა და ა.შ.).


სიკვდილობასთან ასოცირებული ფაქტორების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა მულტივარიაციული ლოჯისტიკური რეგრესიული ანალიზი (Bursac, Gauss, Williams, & Hosmer, 2008). ყველა სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამა (SAS Institute Inc., Cary, North Carolina, USA). $P < 0.05$ მიჩნეულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ.

კვლევის შედეგები

აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები და ტენდენციები.


2014-2017 წწ საქართველოს მასშტაბით ჯამში ჰოსპიტალიზებული იყო 2852 აივ ინფიცირებული პაციენტი. დაკვირვების პერიოდში შეინიშნა ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის მატება (2014წ - 634, 2015წ - 722, 2016წ - 746 და 2017წ - 750), თუმცა მნიშვნელოვნად შემცირდა ჰოსპიტალიზაციის სიხშირე წელიწადში შემთხვევათა 100 პაციენტზე გადაანგარიშებით, კერძოდ 2014 წელს 100 პაციენტზე 18.61 შემთხვევიდან (95% CI: 17.19-20.12) 2017 წელს შემცირდა 13.93 შემთხვევამდე 100 პაციენტზე (95% CI: 12.95-14.06), ($p < 0.0001$). ინდივიდუალური კალენდარული წლის ანალიზმა გვაჩვენა რომ ჰოსპიტალიზაციის სიხშირემ იწყო კლება 2015 წლიდან და მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნებოდა თითოეულ მომდევნო წელიწადში ($p = 0.80$ 2014 vs. 2015წწ, $p=0.02$ 2015 vs. 2016წწ და $p=0.003$ 2016 vs. 2017წწ) (დიაგრამა 8).

დიაგრამა 8. ჰოსპიტალიზაციის ჯამური მაჩვენებელი, 2014-2017 წლებში



2852 ჰოსპიტალიზებული პაციენტიდან, 1711 ჰოსპიტალიზებულ იყო არა შიდა ასოცირებული დაავადებებით, ხოლო 1141 შიდა ასოცირებული დაავადებით (ყველა კალენდარული წლისთვის $p<0.0001$). არა შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაცია შემცირდა 2014 წლიდან 2017 წლამდე, კერძოდ 2014 წელს იყო 10.75 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 9.67-11.91), ხოლო 2017 წელს 8.45 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 7.78-9.36) ($p=0.004$). შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაცია კი 2014 წელს იყო 7.87 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 6.95-8.87), ხოლო 2017 წელს 5.39 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 4.78-6.04), რაც ასევე სარწმუნოდ არის შემცირებული ($p<0.0001$) (დიაგრამა 9).


დიაგრამა 9. შიდს ასოცირებული და არა შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები - 2014-2017წლებში



შიდს ასოცირებული	არა შიდს	შიდს
ასოცირებული	634	722
ჯამი	746	750

კვლევის პერიოდში ჯამურად მოკვდა 119 ჰოსპიტალიზებული აივ ინფიცირებული პაციენტი. 2014 წელს მოკვდა 34 (5.4%), 2015 წელს - 35 (4.8%), 2016 წელს - 27 (3.6%) და 2017 წელს - 23 (3.1%) ჰოსპიტალიზებული პაციენტი. სიკვდილობაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირდა 2015-2017 წლებში (5,4% vs 3.1%), (p=0.03) (დიაგრამა 10).

დიაგრამა 10. სიკვდილობის ტენდენცია ჰოსპიტალიზაციისას 2014-2017წლებში



აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციის მიზეზებისა და გამოსავლების შესწავლა აივ/შიდსის რეფერალ დაწესებულებაში.

2012-2017 წლებში შიდსის ცენტრში განხორციელდა ჯამური 2085 ჰოსპიტალიზაცია, და სულ ჰოსპიტალიზებულ იქნა 1123 პაციენტი. კვლევაში ჩართული პაციენტების მახასიათებლები პირველი ჰოსპიტალიზაციისას აღწერილია #1 ცხრილში. პაციენტების საშუალო ასაკი იყო 42 წელი ((კვარტილთაშორისი ინტერვალი [IQR]: 36-38), უმეტესობა იყო მამაკაცი (76,7%). აივ ინფექციის გადაცემის ძირითადი გზა წარმოადგენდა ინექციური ნარკოტიკების მოხმარება (50,4%), მხოლოდ 5,3% პაციენტებისა იყო მამაკაცები ვისაც ჰქონდა სექსი მამაკაცებთან. პაციენტების ნახევარზე მეტი იყო დადებითი (51,9%) C ჰეპატიტის ვირუსის (HCV) საწინააღმდეგო ანტისხეულებზე. 57,6% პაციენტებისა წარსულში უკვე დიაგნოსტირებულ ჰქონდათ აივ ინფექცია და 37,1% ჰოსპიტალიზაციამდე იმყოფებოდა არც თერაპიაზე. პაციენტების უმრავლესობა ჰოსპიტალიზებული იყო CD4 ლიმფოციტების აბსოლუტური რიცხვის დაბალი მაჩვენებლით, კერძოდ, ჰოსპიტალიზაციისას

პაციენტების 65% CD4 აბსოლუტური რიცხვი < 200 მმ³, საშუალო რიცხვით 108 მმ³ (IQR: 30-260) (ცხრილი 1). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 641 პაციენტს (57,1%) აივ ინფექციის დიაგნოსტიკისას უკვე აღენიშნებოდა ღრმა იმუნოდეფიციტი.

ცხრილი 1. კვლევაში ჩართულ პაციენტთა მახასიათებლები პირველი ჰოსპიტალიზაციისას (n=1123)

	ჯამი (n=1123)	შიდს ასოცირებ ული (n=532)	არა შიდს ასოცირებ ული (n=591)	p value
ასაკი წლებში, მედიანა (IQR)	42 (36-48)	42 (37-48)	42 (36-48)	0.27
სქესი, n (%)				
კაცი	860 (76.7)	394 (74.1)	466 (78.8)	0.06
ქალი	263 (23.4)	138 (25.9)	125 (21.2)	
აივ ინფიცირების გზა, n (%)				
ინექციური ნარკოტიკების მოხმარება	566(50.4)	249 (46.8)	317 (53.6)	0.002
ჰეტეროსექსუალური კონტაქტი	491(43.7)	261 (49.1)	230 (38.9)	
მსმ	59 (5.3)	20 (3.8)	39 (6.6)	
სხვა	7 (0.6)	2 (0.4)	5 (0.9)	
anti-HCV +	583(51.9)	249 (46.8)	334 (56.5)	0.001
HCV RNA +	438 (39.0)	157 (29.5)	281 (47.5)	<0.0001
HCV RNA missing	88 (7.8)	66 (12.4)	22 (3.7)	<0.0001


HBsAg+	67 (6.0)	25 (4.7)	42 (7.1)	0.09
anti-HDV+	6 (0.5)	0 (0.0)	6 (1.0)	0.03
შიდსის დიაგნოზი ჰოსპიტალიზაციამდე ან/და ჰოსპიტალიზაციისას, n (%)	647 (57.6)	318 (59.8)	329 (55.7)	0.16
არც თერაპია ჰოსპიტალიზაციამდე, n (%)	417 (37.1)	234 (44.0)	183 (31.0)	<0.0001
CD4 უჯ. აბსოლუტური რიცხვი ჰოსპიტალიზაციისას				
მედიანა (IQR)	108 (30-260)	47 (15-115)	206 (92-377)	<0.0001
< 50, n (%)	361 (32.1)	273 (51.3)	88 (14.9)	<0.0001
50 < 100, n (%)	167 (14.9)	102 (19.2)	65 (11.0)	
100 < 200, n (%)	203 (18.1)	79 (14.8)	124 (21.0)	
200 +	373 (33.2)	72 (13.5)	301 (50.9)	
Missing, n (%)	19 (1.7)	6 (1.1)	13 (2.2)	
დრო აივ დიაგნოზსა და ჰოსპიტალიზაციას შორის				
მედიანა თვე (IQR)	2 (0.03-44.0)	0.2 (0.0-18.2)	15 (0.3-56.5)	<0.0001
< 3 თვე, n (%)	583 (51.9)	359 (67.5)	224 (37.9)	<0.0001
3-6 თვე, n (%)	34 (3.0)	14 (2.6)	20 (3.4)	
6-9 თვე, n (%)	55 (4.9)	16 (3.0)	39 (6.6)	
>12 თვე, n (%)	451 (40.2)	143 (26.9)	308 (52.1)	

კვლევაში ჩართული, 1123 აივ ინფიცირებული პაციენტიდან, 67,9%-ს აივ ინფექციის დიაგნოზი დაესვა 2012-2017 წლებში და მათგან 51,9% ჰოსპიტალიზება მოხდა დიაგნოსტიკებიდან პირველი 3 თვის განმავლობაში. ახლად დიაგნოსტირებულ პაციენტთა პირველ სამ თვეში ჰოსპიტალიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელს და შეადგენდა 61,4%-ს, 2012 წელთან შედარებით - 42,9%-ს, ხოლო შემდგომ დაფიქსირდა კლების ტენდენცია 51,1% 2017 წელს ($p=0.02$). დიაგნოსტიკებიდან პირველ 3 თვეში შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაციათა რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა კვლევის პერიოდში (2012 წ - 68.7%, 2015წ - 69.4%, 2017წ -66.7%, $p=0.21$). ხოლო არა შიდა ასოცირებულ ჰოსპიტალიზაციებში აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაოდენობის ზრდაში (2012წ - 27.8%, 2015წ - 52.7%, 2017წ - 39.4%, $p=0.02$). 1123 პაციენტიდან 700 (62,3%) ჰოსპიტალიზებულ იქნა მხოლოდ ერთხელ, 18,5% ორჯერ და 19,1% სამჯერ და მეტი რაოდენობით.

არა შიდა ასოცირებული დაავადებით ჰოსპიტალიზაციისას, პაციენტების უმრავლესობა იყო ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი, anti HCV პოზიტიური, აღინიშნებოდათ მაღალი CD4 ლიმფოციტების აბსოლუტური რიცხვის საშუალო მაჩვენებელი და აივ ინფექციის დიაგნოსტიკების ხანგრძლივი ისტორია (ცხრილი 1).


ჰოსპიტალიზაციის საერთო რაოდენობიდან 931 (44,7%) იყო შიდა-ასოცირებული და 1154 (55,4%) - არა შიდა-ასოცირებული (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11. შიდა ასოცირებული და არა შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები - 2012-2017 წლებში




ყველაზე ხშირი, შიდს-ასოცირებული დაავადებებიდან აღინიშნებოდა ტუბერკულოზი (12,8%), Pneumocystis Jirovecii პნევმონია (პნევმოცისტური პნევმონია) 5,6%, კრიპტოკოკული მენინგიტი 5,6% და რეკურენტული პნევმონია 44,4% (დიაგრამა 12). არა შიდს-ასოცირებული ჰოსპიტალიზაციიდან კი პნევმონია 15,7%, სხვა ინფექციური დაავადებები გარდა პნევმონიისა 13,5%, ციროზი 6,5% და ღვიძლის ტერმინალური დაავადება (ESLD) 6,0% (დიაგრამა 13).

დიაგრამა 12. შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები 2012-2017წლებში (n=931)



დიაგრამა 13. არა შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები 2012-2017 წლებში (n=1154)



ცხრილი 2. ჰოსპიტალიზაციის მიზეზები (n=2085)

	ჯამი	2012	2013	2014	2015	2016	2017
ჯამი	2085	300	329	327	366	386	377
		151	163	135	163	162	
შიდს ასოცირებული დაავადებები	931 (44.7)	(50.3)	(49.5)	(41.3)	(44.5)	(42.0)	157 (41.6)
ტუბერკულოზი	267(12.8)	56(18.7)	69(21.0)	35(10.7)	44(12.0)	28(7.3)	35(9.3)
კრიპტოკოკული მენინგიტი	116 (5.6)	16(5.3)	21 (6.4)	25 (7.7)	18 (4.9)	18 (4.7)	18 (4.8)
პნევმოცისტური პნევმონია	116 (5.6)	15 (5.0)	21 (6.4)	15 (4.6)	27 (7.4)	24 (6.2)	14 (3.7)
განლევის სინდრომი	94 (4.5)	15 (5.0)	4 (1.2)	11 (3.4)	17 (4.6)	22 (5.7)	25 (6.6)
რეკურენტული პნევმონია	91 (4.4)	13 (4.3)	11 (3.3)	14 (4.3)	15 (4.1)	20 (5.2)	18 (4.8)
ცერებრული ტოქსოპლაზმოზი	41 (2.0)	6 (2.0)	2 (0.6)	6 (1.8)	8 (2.2)	13 (3.4)	6 (1.6)
აივ ენცეფალოპათია	39 (1.9)	2 (1.0)	1 (0.3)	0 (0)	6 (1.6)	11 (2.9)	18 (4.8)
ლეიშმანიოზი	39 (1.9)	10 (3.3)	13 (4.0)	6 (1.8)	3 (0.8)	4 (1.0)	3 (0.8)
შიდს ასოცირებული სიმსივნეები	38 (1.9)	8 (2.7)	6 (1.8)	3 (0.9)	7 (1.9)	9 (2.3)	5 (1.3)
მულტიფოკალური ლეიკოენცეფალოპათია	27 (1.3)	4 (1.3)	5 (1.5)	7 (2.1)	4 (1.1)	5 (1.3)	2 (0.5)
კანდიდოზი	28 (1.3)	2 (0.7)	8 (2.4)	8 (2.5)	4 (1.1)	1 (0.3)	5 (1.3)

	20	2	1	4	8	2	
ციტომეგალოვირუსული ინფექცია	(1.0)	(0.7)	(0.3)	(1.2)	(2.2)	(0.5)	3 (0.8)
სხვა	15	1	1	1	2	5	
	(0.7)	(0.3)	(0.3)	(0.3)	(0.6)	(1.3)	5 (1.3)
		149	166	192	203	224	
არა შიდს ასოცირებული დაავადებები	1154	(49.7	(50.5	(58.7	(55.5	(58.0	220
	(55.4))))))	(58.4)
		53	48	56	59	65	
პნევმონია	327	(17.7	(14.6	(17.1	(16.1	(16.8	
	(15.7))))))	46(12.2)
ინფექციები	281	29(9.	40(12	41(12	48(13	61(15	62
	(13.5)	7)	.2)	.5)	.1)	.8)	(16.5)
ციროზი	136	16	17	13	31	29	
	(6.5)	(5.3)	(5.2)	(4.0)	(8.5)	(7.5)	30 (8.0)
ღვიძლის ტერმინალური დაავადება	124	22	25	20	26	18	
	(6.0)	(7.3)	(7.6)	(6.1)	(7.1)	(4.7)	13 (3.5)
საჭმლის მომნელებელი სისტემა	75	8	12	12	10	15	
	(3.6)	(2.7)	(3.7)	(3.7)	(2.7)	(3.9)	18 (4.8)
მედიკამენტების ტოქსიკურობა	38	3	4	10	7	9	
	(1.8)	(1.0)	(1.2)	(3.1)	(1.9)	(2.3)	5 (1.3)
ჰემატოლოგიური დარღვევები	33	7	4	6	3	4	
	(1.6)	(2.3)	(1.2)	(1.8)	(0.8)	(1.0)	9 (2.4)
ნევროლოგიური დაავადებები	27	2	3	6	2	2	
	(1.3)	(0.7)	(0.9)	(1.8)	(0.6)	(0.5)	12 (3.2)
ღვიძლის დაავადებები (არა ციროზი და ღვიძლის ტერმინალური დაავადება)	24	2	2	5	4	6	
	(1.2)	(0.7)	(0.6)	(1.5)	(1.1)	(1.6)	5 (1.3)
სხვა	89	7	11	23	13	15	
	(4.3)	(2.3)	(3.3)	(7.0)	(3.6)	(3.9)	20 (5.3)

დაკვირვების პერიოდში შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაცია შემცირდა 50,3%-დან 41,6%-მდე (2012- 2017 წწ), ამავე პერიოდში ასევე აღინიშნა არა შიდა - ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მატება 49.7%-დან 58.4%-მდე, თუმცა არსებული ცვლილება სტატისტიკურად არასარწმუნო იყო ($p=0.16$) (ცხრილი 2).

შემდგომი ანალიზისას, აივ დიაგნოსტიკებიდან პირველ 3 თვეში ჰოსპიტალიზაციისას შიდა - ასოცირებული მიმართვიანობა იყო 67.0%- 2012, 58.6%- 2015 და 56.2% - 2017 წლებში და არა შიდა-ასოცირებული მიმართვიანობა 33.0%, 41.4% და 43.8% შესაბამის წლებში ($p=0.15$).


მე-3 ცხრილში აღწერილია ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში თანმხლები დაავადებების სიხშირე. საერთო ჯამში პაციენტების 46,5%-ს ძირითადი დაავადების გარდა არ აღენიშნებოდა სხვა თანმხლები დაავადებები. პაციენტების 41,4% ჰქონდა 1 თანმხლები დაავადება და 12,0%-ს აღენიშნებოდა 2 და მეტი თანმხლები დაავადება. შიდა ასოცირებული დაავადების მქონე პაციენტებში აღინიშნებოდა უფრო მეტი თანმხლები დაავადებები 61,7%, არა შიდა ასოცირებულთან შედარებით - 46,9% ($p < 0.0001$).

ცხრილი 3. ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და თანმხლები დაავადებები.

ჰოსპიტალიზაციის მიზეზები	ჯამი N	თანმხლები დაავადებები		
		0	1	2+
ჯამი, n (%)	2085	970 (46.5)	864 (41.4)	251 (12.0)
შიდა ასოცირებული დაავადებები, n (%)	931	357 (38.3)	426 (45.8)	148 (15.9)
არა შიდა ასოცირებული დაავადებები, n (%)	1154	613 (53.1)	438 (38.0)	103 (8.9)

ჰოსპიტალიზაციისას ან/და გაწერიდან 14 დღის განმავლობაში მოკვდა 167 (8%) პაციენტი. სიკვდილობის უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციისას 11,5% (107/931), არა შიდს ასოცირებულთან შედარებით 5,2% (60/1154) ($p < 0.0001$). 2012-17 წლებში საერთო ჯამში სიკვდილობა შემცირდა 9.0%-დან 4.5%- მდე (ტენდენციის კორექტირებული $p = 0.18$). თუმცა სიკვდილობის მიზეზების შესწავლისას, კვლევის პერიოდში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება არ დაფიქსირებულა. შიდს ასოცირებული სიკვდილობა 2012 წელს 13.9%-დან 2017 წელს 5.1%-მდე შემცირდა (ტენდენციის კორექტირებული $p = 0.09$); არა შიდს ასოცირებული სიკვდილობა 2012 წელს 4.0%- დან 2017 წელს 4.1%-მდე მოიმატა ((ტენდენციის კორექტირებული $p = 0.66$) (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. სიკვდილიანობის ტენდენცია ჰოსპიტალიზაციისას 2012-2017 წლებში



შიდს ასოცირებული 107 სიკვდილის შემთხვევიდან 95 (88,8%) პაციენტში CD4 ლიმფოციტების აბსოლუტური რიცხვი < 200 მმ³ ჰოსპიტალიზაციის მომენტში და მათ

შორის 68 პაციენტი (63,6%) ჰოსპიტალიზებული იყო აივ დიაგნოსტიკებიდან 3 თვის განმავლობაში. ყველაზე მაღალი სიკვდილობის მაჩვენებელი დაფიქსირდა პაციენტებში, რომლებიც ჰოსპიტალიზებულ იყვნენ პნევმოცისტური პნევმონიით 26,7% [31/116], კრიპტოკოკული მენინგიტით 19,8% [23/116] და ცერებრული ტოქსოპლაზმოზით 17,1% [7/41] (ცხრილი 4). პნევმოცისტური პნევმონიით გარდაცვლილ პაციენტების 64,5%-ში CD4 ლიმფ. აბს. რიცხვი < 50 მმ3 ჰოსპიტალიზაციისას და 77,4% ჰოსპიტალიზირებული იყვნენ აივ დიაგნოსტიკებიდან პირველ 3 თვეში. მსგავსი ტენდენცია აღინიშნებოდა სხვა დაავადებების შემთხვევაშიც, კრიპტოკოკული მენინგიტისას (78.3% და 69.6%) და ცერებრული ტოქსოპლაზმოზისას (57.1% და 85.7%).

არა შიდს-ასოცირებული სიკვდილის შემთხვევებიდან 42 (70%) პაციენტში CD4 ლიმფოციტების აბსოლუტური რიცხვი < 200 მმ3 ჰოსპიტალიზაციის მომენტში და 28/42 (70.0%) ჰოსპიტალიზებული იყო აივ დიაგნოსტიკებიდან 3 თვის განმავლობაში. ყველაზე მაღალი სიკვდილობის მაჩვენებელი დაფიქსირდა პაციენტებში, რომლებიც ჰოსპიტალიზებულ იყვნენ ღვიძლის უკმარისობით 16,1% [20/124] (ცხრილი 4). 20 მკვდარი პაციენტიდან, 12 (60,0%) CD4 ლიმფ. აბს. რიცხვი <200 მმ3 ჰოსპიტალიზაციისას და 35,0%-ში ჰოსპიტალიზებულ იყვნენ აივ დიაგნოსტიკებიდან პირველ 3 თვეში.


ცხრილი 4. სიკვდილობა ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში (n=2085)

	ჯამი	2012	2013	2014	2015	2016	2017
ჯამი	8.0% (167/2085)	9.0% (27/300)	9.4% (31/329)	8.0% (26/327)	9.0% (33/366)	8.5% (33/386)	4.5% (17/377)
შიდს ასოცირებული დაავადებები	11.5% (107/931)	13.9% (21/151)	14.7% (24/163)	8.9% (12/135)	11.7%(19 /163)	14.2% (23/162)	5.1% (8/157)
ტუბერკულოზი	8.2% (22/267)	7.1% (4/56)	8.7% 6/69)	0 (0)	13.6% (6/44)	14.3% (4/28)	5.7% (2/35)
კრიპტოკოკული მენინგიტი	19.8 % (23/116)	25.0% (4/16)	23.8% (5/21)	20.0% (5/25)	11.1% (2/18)	27.8% (5/18)	11.1% (2/18)
პნევმოცისტური პნევმონია	26.7% (31/116)	26.7% (4/15)	42.9% (9/21)	33.3% (5/15)	25.9% (7/27)	25.0% (6/24)	0 (0)
განლევის სინდრომი	4.3% (4/94)	0 (0)	25.0% (1/4)	0 (0)	5.9% (1/17)	9.1% (2/22)	0 (0)
რელურენტული პნევმონია	2.2% (2/91)	0 (0)	0 (0)	0 (0)	6.7% (1/15)	5.0% (1/20)	0 (0)
ცერებრული ტოქსოპლაზმოზი	17.1% (7/41)	50.0% (3/6)	0 (0)	16.7% (1/6)	0 (0)	15.4% (2/13)	16.7% (1/6)
ლეიშმანიოზი	7.7% (3/39)	20.0% (2/10)	7.7% (1/13)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
აივ ასოცირებული სიმსივნეები	29% (11/38)	37.5% (3/8)	33.3% (1/6)	0 (0)	28.6% (2/7)	33.3% (3/9)	40.0% (2/5)
მულტიფოკალური ლეიკოენცეფალოპათია	7.4% (2/27)	25.0% (1/4)	0 (0)	14.3% (1/7)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ციტომეგალოვირუსული ინფექცია	5.0% (1/20)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	33.3% (1/3)
სხვა	6.7% (1/15)	0 (0)	100.0% (1/1)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
არა შიდს ასოცირებული დაავადებები	5.2% (60/1154)	4.0% (6/149)	4.2% (7/166)	7.3% (14/192)	6.9% (14/203)	4.5% (10/224)	4.1% (9/220)
პნევმონია	1.8% (6/327)	0 (0)	0 (0)	2.9% (2/56)	1.7% (1/59)	3.1% (2/65)	2.2% (1/46)

ინფექციები	6.1% (17/281)	0 (0)	5.1% (2/40)	10.0% (4/41)	4.5% (2/48)	6.9% (4/61)	8.3% (5/62)
ციროზი	3.7% (5/136)	12.5% (2/16)	0 (0)	15.4% (2/13)	0 (0)	3.4% (1/29)	
ღვიძლის ტერმინალური დაავადება	16.1% (20/124)	18.2% (4/22)	16.0% (4/25)	15.0% (3/20)	26.9% (7/26)	5.6% (1/18)	7.7% (1/13)
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	1.3% (1/75)	0 (0)	0 (0)	8.3% (1/12)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჰემატოლოგიური დარღვევები	3.0% (1/33)	0 (0)	25.0% (1/4)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ნევროლოგიური დაავადებები	3.7% (1/27)	0 (0)	0 (0)	0 (0)	50.0% (1/2)	0 (0)	0 (0)
ღვიძლის დაავადებები (არა ციროზი და ღვიძლის ტერმინალური დაავადება)	4.2% (1/24)	0 (0)	0 (0)	0 (0)	25.0% (1/4)	0 (0)	0 (0)
სხვა	9.0% (8/89)	0 (0)	0 (0)	8.7% (2/23)	15.4% (2/13)	13.3% (2/15)	10.0% (2/20)

მულტივარიაციულ მოდელში სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი ასოცირებული იყო: მძიმე შიდს ასოცირებული დაავადებებით ჰოსპიტალიზაციასთან (adjusted odds ratio [aOR]: 2.81, 95% confidence interval [CI]: 1.10-7.15, p=0.03), აივ ინფექციის დიაგნოსტიკასა და ჰოსპიტალიზაციას შორის ხანმოკლე პერიოდთან (aOR 2.95, 95% CI: 1.96-4.44, p<0.0001), ჰოსპიტალიზაციამდე პაციენტის არც თერაპიაზე არ ყოფნასთან (aOR: 8.82, 95% CI: 4.63-16.79, p<0.0001), უცნობი HCV რნმ სტატუსთან (OR 4.53, 95% CI: 2.61-7.84, p<0.0001), დაბალ CD4 ლიმფ აბს რიცხვითან < 50 (CD4 > 200 შედარებით, OR 4.34, 95% CI: 2.52-7.47, p<0.0001) და 50-100 (OR 2.37, 95% CI: 1.27-4.42, p=0.007), აივ რაოდენობის უცნობ მაჩვენებლთან (OR 2.86, 95% CI: 1.30-6.26, p=0.009). 2017 წელთან შედარებით სიკვდილობის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო 2013, 2015 და 2016 წლებში. წარსულში ინექციური ნარკოტიკების მოხმარება ასოცირებული იყო სიკვდილობის დაბალ მაჩვენებელთან (დიაგრამა 15).

დიაგრამა 15. სიკვდილთან ასოცირებული ფაქტორების ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი



*Model was adjusted for age, gender, length of stay, number of hospitalizations, previous history of AIDS, HBV co-infection, known comorbidities

სენსიტიური ანალიზით, რომელიც გამოიცხავდა არა შიდა ასოცირებულ ჰოსპიტალიზაციებს, მძიმე შიდა ასოცირებული დაავადებები დაკავშირებული იყო სიკვდილობის მაღალ მაჩვენებელთან, საშუალო (aOR 3.27, 95% CI: 1.23-8.72, p=0.02) და მსუბუქ (aOR 4.06, 95% CI: 1.60-10.35, p=0.003) შიდა ასოცირებულ დაავადებებთან შედარებით.

დამატებითი ანალიზი ჩატარდა, რათა შეგვეფასებინა ასოციაცია ინექციური ნარკოტიკების მოხმარებასა და სიკვდილობის მაჩვენებლის შემცირებას შორის.

სტრატეგიცირებული ანალიზისას მნიშვნელოვნად მეტი არა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებელი იყო ჰოსპიტალიზებული აივ დიაგნოსტიკებიდან პირველი 3 თვის განმავლობაში, ვისაც ასევე აღენიშნებოდა CD4 ლიმფ აბს რიცხვი < 100 უჯრ/მმ³; არა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებელი 39.0% vs 25.8% ინექციური ნარკოტიკების მოხმარებელი (p<0.0001). ასევე უმეტესობა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებლებისა აივ ინფექცია დიაგნოსტირებულ ჰქონდათ კვლევის

პერიოდამდე (2012 წლამდე) (39.9% vs. 24.4%, $p < 0.0001$) და ასევე უმრავლესობა ჰოსპიტალიზებულ იყო არა შიდს ასოცირებული დაავადებებით (57.9% vs. 51.9%, $p = 0.007$).

განხილვა

პირველად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, ჩვენს მიერ მოხდა შესწავლა ერთის მხრივ, საქართველოში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აივ ინფიცირებული პაციენტების ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები და ტენდენციები, და მეორეს მხრივ, აივ/შიდსის რეფერალურ დაწესებულებაში, აივ ინფიცირებული პაციენტების ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და გამოსავლები. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში, არც თერაპიის უნივერსალურმა ხელმისაწვდომობამ მნიშვნელოვნად შეამცირა აივ/შიდსის მქონე პაციენტების ავადობა და სიკვდილობა, თუმცა აივ ინფექცია/შიდსი კვლავ რჩება ჰოსპიტალიზაციისა და ჰოსპიტალური სიკვდილობის ძირითად მიზეზად. ეს უკანასკნელი განპირობებულია გვიანი დიაგნოსტიკის მაღალი მაჩვენებლით.

ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები შეფასდა 01/01/2014 - 31/12/2017 პერიოდში და მოიცვა აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევა, რომლებიც განხორციელდა აივ/შიდსის სერვისების მიმწოდებელ კლინიკებში თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში.

კვლევაში ნაჩვენებია, რომ 2014-2017 წლებში საქართველოს მასშტაბით ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა აბსოლუტური რიცხვის მატების მიუხედავად, ჰოსპიტალიზაციის სიხშირე წელიწადში შემთხვევათა 100 პაციენტზე გადაანგარიშებით მნიშვნელოვნად შემცირდა. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 2014 წელს 100 პაციენტზე შეადგენდა 18.61 და 2017 წელს შემცირდა 13.93 შემთხვევამდე 100 პაციენტზე ($p < 0.0001$). თვალსაჩინო კლება შეინიშნებოდა 2015 წლიდან.

ჰოსპიტალიზებული პაციენტების 60%-ის ჰოსპიტალიზაციის მიზეზი იყო არა შიდა ასოცირებული დაავადება. არსებული ტენდენცია შეიმჩნეოდა მთელი დაკვირვების პერიოდში და მაღალი სტატისტიკური სარწმუნოებით გამოირჩეოდა ყველა კალენდარული წლისთვის ($p < 0.0001$). შეინიშნებოდა კლების ტენდენცია, ასევე როგორც შიდა ისე არა შიდა ასოცირებულ ჰოსპიტალიზაციისას. არა შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაცია 2014 წელს შეადგენდა 10.75 შემთხვევას 100 პაციენტზე წელიწადში, ხოლო 2017 წელს 8.45 შემთხვევას 100 პაციენტზე წელიწადში ($p = 0.004$). შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაშიც 2014 წელს იყო 7.87 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში, ხოლო 2017 წელს 5.39 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში ($p < 0.0001$).

მსგავსი ტენდენცია აღწერილია სხვა ქვეყნებშიც, სადაც მსგავსად ჩვენი ქვეყნისა ბოლო წლების მანძილზე აღწერილია, როგორც აივ ინფიცირებულ პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის ჯამურად რაოდენობის, ისე მათში შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის შემცირება (Rein et al., 2021; Seng et al., 2018).

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოში, კვლევის პერიოდში ჰოსპიტალიზებულ აივ ინფიცირებულ პაციენტთა 4,2 % მოკვდა. 2014 წელს მოკვდა პაციენტთა 5.4%, 2015 წელს - 4.8%, რის შემდგომაც დაფიქსირდა სიკვდილობის მნიშვნელოვანი, სტატისტიკურად სარწმუნო შემცირება და 2017 წელს შეადგენდა 3.1% ($p = 0.03$).

არც თერაპიის დანერგვამ მნიშვნელოვნად შეამცირა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში აივ ინფექცია/შიდსით ავადობა და სიკვდილობა. არსებულ კვლევაში ეს თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი. შემცირდა ჰოსპიტალიზაციის სიხშირე წელიწადში შემთხვევათა 100 პაციენტზე გადაანგარიშებით, რომელთაგან ჰოსპიტალიზაციის მეტი წილი მოდიოდა არა შიდა ასოცირებულ მიზეზზე. მნიშვნელოვნად შემცირდა ჰოსპიტალიზაციის დროს სიკვდილობა, რაც უფრო თვალსაჩინოა 2015-17 წლებში, რაც დიდ ალბათობით უკავშირდება 2015 წლიდან ვუმკურნალოთ ყველას პროტოკოლის დანერგვას.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აივ/შიდსის რეფერალურ დაწესებულებაში 2012-2017 წლების პერიოდში შეფასდა ჰოსპიტალიზაციის მიზეზები და გამოსავლები. არც თერაპიის ხელმისაწვდომობის ფონზე შემცირდა აივ ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზები, თუმცა უკონტროლო აივ ინფექცია (დაბალი CD 4 და არასუპრესირებული ვირუსული დატვირთვა) წარმოადგენს ძირითად რისკ ფაქტორს (Bellino et al., 2019; Berry, Fleishman, Moore, Gebo, & Network, 2012; Crum-Cianflone et al., 2010; Hontelez, Tanser, Naidu, Pillay, & Barnighausen, 2016; Mahlab-Guri, Asher, Bezalel-Rosenberg, Elbirt, & StHoeger, 2017). კვლევით პოპულაციაში, 57% პაციენტებისა აღენიშნებოდათ ღრმა იმუნოდეფიციტი აივ ინფექციის დიაგნოსტიკისას (CD4 <200 უჯრ/მმ³), რაც მიუთითებს შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მაღალ მაჩვენებელზე. ასევე ღრმა იმუნოდეფიციტი შესაძლოა გახდეს არა შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზიც (Mocroft, et al., 2010).

სხვა ქვეყნების მსგავსად, ყველაზე ხშირი შიდს ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზებია ტუბერკულოზი, პნევმოცისტური პნევმონია და კრიპტოკოკული მენინგიტი (Ford, et al., 2015). კვლევის ფარგლებში ტუბერკულოზით განპირობებული ჰოსპიტალიზაცია 18,7%-დან (2012 წელი) შემცირდა 9,3%-მდე (2017 წელი), თუმცა ეს არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო შემცირება. ეს მაჩვენებელი ჯდება იმ მიღწევებში, რომელიც აღენიშნება საქართველოში ტუბერკულოზთან ბრძოლის ფარგლებში, ყოველწლიურად ავადობის 9%-ით შემცირებაში (World Health Organization, 2020). ჩვენს კვლევაში ტუბერკულოზით განპირობებული სიკვდილობა (12,8%) დაბალი იყო ვიდრე ეს აღწერილი იყო უახლესი მეტაანალიზის დროს და შეადგენდა 24,9%-ს (Ford et al., 2016). ეს განსხვავება შესაძლოა ახსნილი იყოს ტუბერკულოზის მართვის გაუმჯობესებასთან, ასევე მაღალმოლეკულური დიაგნოსტიკური მეთოდის, GeneXpert-ის ფართო ხელმისაწვდომობასთან, ახალი სერვისების დანერგვასთან, როგორცაა მედიკამენტების მიწოდება. ასევე, ახალი MDR-TB მკურნალობის რეჟიმების ხელმისაწვდომობამ გააუმჯობესა დაავადების გამოსავლები (ბედაქილინი საქართველოში შემოვიდა 2011 წლიდან და მისი ხელმისაწვდომობა გაიზარდა 2014 წლიდან MSF, USAID და Janssen ხელშეწყობითა და დახმარებით) (Kempker et al., 2019;

Kiria, Avaliani, & Mikiashvili, 2016; WHO Regional Office for Europe, 2019). ასევე MDR-TB მქონე პაციენტები ჰოსპიტალიზებულ იყვნენ და მკურნალობას გადიოდნენ სპეციალიზებულ დაწესებულებებში, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუციას და აივ ინფიცირებული პაციენტები, რომლებსაც გამოტოვებს ან/და შეწყვიტეს მკურნალობა, რეგულარულად მოწმდება ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის ერთიან საინფორმაციო სისტემაში, რომელიც თავისთავად დაკავშირებულია სიკვდილის ეროვნული რეესტრიდან. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ნაკლებსავარაუდოა, რაიმე გავლენა მოეხდინა ჩვენ მონაცემებზე.

კვლევის პერიოდში პნევმოცისტური პნევმონიითა და კრიპტოკოკული მენინგიტით მომართვიანობა არ შეცვლილა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს გვიანი დიაგნოსტიკის პრობლემასა და მასთან ასოცირებულ მაღალ სიკვდილობას საქართველოში (Chkhartishvili, et al., 2016).

ყველაზე მაღალი სიკვდილობა აღწერილ იქნა პნევმოცისტური პნევმონიის დროს (26,7%), რაც განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოში არც თერაპიის უნივერსალური ხელმისაწვდომობისა და კო-ტრიმოქსაზოლით პროფილაქტიკის ფონზე. მაღალი შემოსავლების ქვეყნებში ამავდროულად აღწერილია სიკვდილობის შემცირება (Kim et al., 2013; Morris, et al., 2003; Walzer et al., 2008), ხოლო დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში ბოლო წლებში აღწერილია სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც მერყეობს 17,3%-დან 31,5%-მდე (Chiliza, Du Toit, & Wasserman, 2018; Wasserman, Engel, Griesel, & Mendelson, 2016; Wu et al., 2019). ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვლენილი პნევმოცისტური პნევმონიით განპირობებული მაღალი სიკვდილობა განსხვავდება სხვა ქვეყნის მონაცემებისგან, რაც წარმოადგენს სამომავლო ანალიზის საგანს, მათ შორის ინტენსიურ განყოფილებაში მკურნალობა და ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციას, პროფილაქტიკური მკურნალობის გამოყენება. გვიანი გამოვლინების გამო მეთვალყურეობის დაგვიანების გარდა, შესაძლებელია პნევმოცისტური პნევმონიის გარდა პაციენტს ქონოდა სხვა არადიაგნოსტირებული დაავადება, მაგალითად ტუბერკულოზი, რამაც თავის მხრივ იქონია გავლენა გამოსავალზე (Chiliza, et al., 2018).

კრიპტოკოკული მენინგიტით განპირობებული მაღალი სიკვდილობა კარგადაა აღწერილი, როგორც მაღალი ასევე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, იმ შემთხვევაშიც კი როცა ხელმისაწვდომია ამფოტერიცინი B და ფლუციტოზინი (Quan et al., 2019; Rajasingham et al., 2017). საქართველოში კი არ არის ხელმისაწვდომი პირველი რიგის მედიკამენტები და მკურნალობისთვის გამოიყენება მხოლოდ ფლუკონაზოლი.

არა შიდა ასოცირებული ჰოსპიტალიზაციის უმრავლესობა დაკავშირებული იყო ინფექციური აგენტთან, პნევმონიისა და სხვა ინფექციების ჩათვლით და ასევე ვირუსული ჰეპატიტებთან. საერთო ჯამში, 260 პაციენტი ჰოსპიტალიზირებულ იქნა ღვიძლის დაავადების გამო, რომელთაგან 90% წარსულში ან არსებულ მომენტში ინფიცირებული იყო HCV ინფექციით. არა შიდა ასოცირებული სიკვდილობის მაღალი სიხშირე განპირობებული იყო ღვიძლის უკმარისობით და შეადგენდა 16.7%. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ შემცირდა ღვიძლის დაავადებით განპირობებული სიკვდილობა HIV/HCV კო-ინფიცირებულ პაციენტებში HCV თერაპიაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის ფონზე. ასევე კო-ინფიცირებულ პაციენტებში სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი, შედარებით მონო ინფექციის შემთხვევისა, განპირობებულია თანმხლები შიდა ასოცირებულ მიზეზებით (Chkhartishvili et al., 2019).

მულტივარიაციულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია მძიმე შიდა ასოცირებული დაავადებით ჰოსპიტალიზაციასთან, არა შიდა ასოცირებული და ასევე მსუბუქი და საშუალო სიმძიმის შიდა ასოცირებულ მიზეზით ჰოსპიტალიზაციასთან შედარებით. ასევე სხვა ფაქტორები, რომლებიც ასოცირებულია სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელთან, წარმოადგენს გვიანი დიაგნოსტიკას, მათ შორის ხანმოკლე პერიოდს აივ ინფექციის დიაგნოსტიკისა და ჰოსპიტალიზაციას შორის, დაბალ CD4 ლიმფოციტების აბსოლუტურ რიცხვს და ჰოსპიტალიზაციამდე არც თერაპიაზე არ ყოფნა. უცნობი აივ ვირუსული დატვირთვა და HCV რნმ სტატუსი ჰოსპიტალიზაციასთან, ასევე ასოცირებულია სიკვდილობასთან,

რაც თავისთავად შესაძლოა წარმოადგენდეს არარეგულარული მეთვალყურეობის, შეწყვეტისა და დაკარგვას, ხოლო დაავადების პროგრესირების შემდგომ მეთვალყურეობაზე დაბრუნების არაპირდაპირ მარკერს. მეთვალყურეობიდან დაკარგვა წარმოადგენს საყოველთაო პრობლემას მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპაში (Mocroft et al., 2008). საქართველოში პროგრამული მონაცემებით არც პროგრამიდან ყოველწლიურად იკარგება პაციენტების 1,5%, ხოლო არსებულ კვლევაში 28 (2,5%) პაციენტს დიაგნოსტირებული ქონდა აივ ინფექცია >1 წელზე მეტი დროის მანძილზე და ჰოსპიტალიზაციამდე ცენტრში არცერთ ვიზიტზე არ გამოცხადებულა.

საინტერესოა, რომ ინექციური ნარკოტიკების მოხმარება წარმოადგენს სიკვდილობის დაბალ რისკს არამომხმარებელ პაციენტებთან შედარებით. როგორც შედეგების ანალიზმა გვაჩვენა, არაინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში დიდი ნაწილი, ჰოსპიტალიზირებული იყო უფრო ღრმა იმუნოდეფიციტით, აივ ინფექციის დიაგნოსტირებიდან ხანმოკლე დროში. რაც შესაძლოა განპირობებული იყო IDU გადარჩენის ეფექტით, ისინი აივ მეთვალყურეობაზე იმყოფებოდნენ ხანგრძლივი დროის მანძილზე და კვლევის პერიოდში მათი მიმართვიანობის მიზეზი ნაკლებად იყო მძიმე დაავადებები და ძირითადად იყო არა შიდს ასოცირებული.

კვლევას ქონდა გარვეული შეზღუდვები. პირველი, კვლევაში არ იყო ჩართული ის აივ ინფიცირებული პაციენტები, რომლებიც თავიდანვე ჰოსპიტალიზებულ იყვნენ სხვა კლინიკებში არაინფექციური დაავადებებით. 2014-2017 წლებში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების ანალიზი დაფუძნებული იყო ჯამურ მონაცემებზე და არ იყო ხელმისაწვდომი ჰოსპიტალიზაციის ინდივიდუალური მიზეზები.

მეორე, ჰოსპიტალიზაციის მიზეზების და გამოსავლების ანალიზი შეზღუდული იყო ერთ სამკურნალო ცენტრით. ის იყო ერთ ცენტრში განხორციელებული რეტროსპექტრული კოჰორტული კვლევა. 2012-2017 წლებში საქართველოს შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზებულ იყო 3527 პაციენტი, მათ შორის 2085 (59,1%) მოთავსდა IDACIRC, ხოლო დარჩენილი 41,9% გადანაწილდა

რეგიონალურ ცენტრებში. სხვა შეზღუდვებს რაც შეეხება, IDACIRC წარმოადგენს ქვეყნის რეფერალურ საავადმყოფოს, სადაც თავსდება ქვეყნის მასშტაბით განსაკუთრებით მძიმე და გართულებული შემთხვევები. ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს ის, რომ შესაძლოა საწყისად IDACIRC ჰოსპიტალიზებული პაციენტები, შემდგომში საჭიროებისამებრ გადაყვანილ იქნენ სხვა კლინიკაში მკურნალობის გასაგრძელებლად. ასევე თუ პაციენტს ესაჭიროება მწვავე, გადაუდებელი პრობლემის გამო მეთვალყურეობა (მწვავე ქირურგიული, კარდიოლოგიური და სხვა გართულებები), შესაძლებელია თავიდანვე ჰოსპიტალიზებული ყოფილიყვნენ სხვა პროფილურ კლინიკებში. მსგავსი შემთხვევები არ არის ასახული ჩვენს კვლევაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევები წარმოადგენს ჰოსპიტალიზაციის მხოლოდ მცირე ნაწილს. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ შიდსის სახელმწიფო პროგრამა ახორციელებს უფასო ამბულატორიულ მეთვალყურეობას და შიდს და არა შიდს ასოცირებულ დაავადებათა მონიტორინგს (როგორცაა სიმსივნე, კარდიოვასკულარული დაავადებები და აშ.), რაც თავის მხრივ გამორიცხავს არასაჭირო ჰოსპიტალიზაციას.

შიდს ასოცირებული დაავადებები წარმოადგენს ჰოსპიტალიზაციის მნიშვნელოვან ნაწილს. დაავადების გვიანი გამოვლენა და ღრმა იმუნოდეფიციტი წარმოადგენს სიკვდილობის ძირითად მიზეზს ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში. აივ ინფექციის ადრეული დიაგნოსტიკის გამოსწორება წარმოადგენს ქვაკუთხედს აივ ასოცირებული ავადობისა და სიკვდილობის შემცირებაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში აივ ინფიცირებულ პაციენტთა მკურნალობა და მოვლა ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. კლინიკური სერვისების მიწოდება ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით სპეციალიზებულ ცენტრებში, როგორც ამბულატორიულ ისე ჰოსპიტალურ სექტორში. ყველა ეს ცენტრი ახორციელებს თავის მომსახურებას უფასოდ. არსებულ ცენტრებში ხორციელდება აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკა, პაციენტთა მკურნალობა და მოვლა. როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, არსებული

მოდელი ეფექტურია და უზრუნველყოფს პაციენტის კლინიკურ სერვისებში ჩართულობას, რაც აისახა ბოლო წლებში ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში აივ ასოცირებული ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილობის შემცირებაში.

ასევე გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებებიც, რომელთა გადაჭრა მეტად მნიშვნელოვანია და მომავალში უზრუნველყოფს სერვისების სრულყოფას, რაც გააუმჯობესებს აივ შიდსის დროულ გამოვლენასა და მკურნალობის და ზრუნვის სერვისში ჩართვას.

დასკვნები:

დასკვნა 1. მიუხედავად იმისა, რომ არც თერაპიის უნივერსალურმა ხელმისაწვდომობამ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეამცირა აივ ასოცირებული ავადობა და სიკვდილობა, ჯერჯერობით მაინც დიდია შიდს ასოცირებული სიკვდილობის წილი.

დასკვნა 2. ჰოსპიტალიზაციის მხრივ შეიმჩნევა კლების ტენდენცია. შემცირდა უშუალოდ აივ ასოცირებული მიზეზით ჰოსპიტალიზაციაც.

დასკვნა 3. შემცირდა ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში სიკვდილობა საქართველოს მასშტაბით.

დასკვნა 4. ჰოსპიტალიზაციის ძირითად მიზეზად კვლავ რჩება უკონტროლო აივ ინფექცია და ღრმა იმუნოდეფიციტი.

დასკვნა 5. პნევმოციტური პნევმონია და კრიპტოკოკული მენინგიტით მომართვიანობა დაკვირვების პერიოდში უცვლელია, რაც კვლავ მიუთითებს აივ გვიან დიაგნოსტიკასა და მასთან ასოცირებული სიკვდილობის მაღალ მაჩვენებელზე.

დასკვნა 6. ტუბერკულოზი კვლავ რჩება წამყვან (ნომერ პირველ) ოპორტუნისტულ დაავადებად. კვლევის პერიოდში აღინიშნა ტუბ ასოცირებული სიკვდილობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ამ დაავადების მართვის სერვისების გაუმჯობესებას უნდა უკავშირდებოდეს.

დასკვნა 7. არა შიდს ასოცირებული სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი ასოცირებულია ღვიძლის ტერმინალურ დაავადებასთან.

დასკვნა 8. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი ასოცირებული იყო:

1. მძიმე შიდს ასოცირებულ დაავადებით ჰოსპიტალიზაციასთან.
2. აივ ინფექციის დიაგნოსტიკასა და ჰოსპიტალიზაციას შორის ხანმოკლე პერიოდთან.
3. CD4 ლიმფოციტების აბს რიცხვის დაბალ მაჩვენებელთან.
4. აივ რნმ რაოდენობრივის და HCV რნმ სტატუსის უცნობი მაჩვენებელთან.

დასკვნა 9. ასევე გამოიკვეთა ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა 2,5% აივ ინფექცია დიაგნოსტირებული ჰქონდა 1 და მეტი წლის განმავლობაში. მათ არ მიუმართავთ ცენტრისთვის, არ იმყოფებოდნენ მეთვალყურეობაზე.

დასკვნა 10. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ის, რომ ინექციური ნარკოტიკების მოხმარება ასოცირებული იყო სიკვდილობის დაბალ მაჩვენებელთან.

დასკვნა 11. კვლევის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა აივ ინფექციის ინექციური გზით გავრცელების შემთხვევები; თუმცა შეინიშნა მატების ტენდენცია სქესობრივი გზით გავრცელების, განსაკუთრებით კი მსმ პოპულაციაში.

მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 1. გვიანი დიაგნოსტიკის მაჩვენებლის გათვალისწინებით, ყოველი რეკომენდაცია მიმართული უნდა იყოს აივ ინფექციის ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკაზე:

1. ჰოსპიტალურ სექტორში რუტინულად უნდა ჩატარდეს აივ ინფექციის ტესტირება ყველა ჰოსპიტალიზებულ პაციენტს.
2. პირველადი ჯანდაცვის რგოლში მიმართის შემთხვევაში, ყველა პაციენტს კლინიკური ჩვენების მიუხედავად უნდა შეეთავაზოს აივ ტესტირება.
3. უნდა გაფართოვდეს მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ტესტირება.

რეკომენდაცია 2. მოსახლეობის ინფორმირებულობის ასამაღლებლად მიზანშეწონილია:

1. მედიასაშუალებების გამოყენება (სარეკლამო კამპანია, ბროშურები, საგანმანათლებლო ლექციები და ა.შ.).
2. სათემო ორგანიზაციების მეტი ჩართულობა, რათა ამაღლდეს პრობლემის ცნობადობა, რაც თავის მხრივ გაზრდის მიმართვიანობას.

რეკომენდაცია 3. საჭიროა გაუმჯობესდეს აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობა. რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს არც მკურნალობაში ჩართულობის

პროცენტს, შეამცირებს აივ ასოცირებულ ავადობასა და სიკვდილობას და თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი შემთხვევების პრევენციას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Barre-Sinoussi, F., Chermann, J. C., Rey, F., Nugeyre, M. T., Chamaret, S., Gruest, J., . . . Montagnier, L. (1983). Isolation of a T-lymphotropic retrovirus from a patient at risk for acquired immune deficiency syndrome (AIDS). *Science*, *220*(4599), 868-871.
- Bellino, S., Borghetti, A., Lombardi, F., Camoni, L., Ciccullo, A., Baldin, G., . . . Di Giambenedetto, S. (2019). Trends of hospitalisations rates in a cohort of HIV-infected persons followed in an Italian hospital from 1998 to 2016. *Epidemiol Infect*, *147*, e89. doi: 10.1017/S0950268819000098S0950268819000098 [pii]
- Berry, S. A., Fleishman, J. A., Moore, R. D., Gebo, K. A., & Network, H. I. V. R. (2012). Trends in reasons for hospitalization in a multisite United States cohort of persons living with HIV, 2001-2008. *J Acquir Immune Defic Syndr*, *59*(4), 368-375. doi: 10.1097/QAI.0b013e318246b862
- Buchacz, K., Baker, R. K., Moorman, A. C., Richardson, J. T., Wood, K. C., Holmberg, S. D., & Brooks, J. T. (2008). Rates of hospitalizations and associated diagnoses in a large multisite cohort of HIV patients in the United States, 1994-2005. *AIDS*, *22*(11), 1345-1354. doi: 10.1097/QAD.0b013e328304b38b00002030-200807110-00012 [pii]
- Bursac, Z., Gauss, C. H., Williams, D. K., & Hosmer, D. W. (2008). Purposeful selection of variables in logistic regression. *Source Code Biol Med*, *3*, 17. doi: 10.1186/1751-0473-3-17
- Center for Disease Control and Prevention (CDC). (1981a). Kaposi's sarcoma and Pneumocystis pneumonia among homosexual men--New York City and California. *MMWR Morb Mortal Wkly Rep*, *30*(25), 305-308.
- Center for Disease Control and Prevention (CDC). (1981b). Pneumocystis pneumonia--Los Angeles. *MMWR Morb Mortal Wkly Rep*, *30*(21), 250-252.

- Centers for Disease Control and Prevention. (2014). Revised surveillance case definition for HIV infection--United States, 2014. *MMWR Recomm Rep*, *63*(RR-03), 1-10. doi: rr6303a1 [pii]
- Chiliza, N., Du Toit, M., & Wasserman, S. (2018). Outcomes of HIV-associated pneumocystis pneumonia at a South African referral hospital. *PLoS One*, *13*(8), e0201733. doi: 10.1371/journal.pone.0201733PONE-D-18-10744 [pii]
- Chkhartishvili, N., Bolokadze, N., Rukhadze, N., Dvali, N., Abutidze, A., Sharvadze, L., & Tsertsvadze, T. (2019). Impact of hepatitis C virus antibody positivity on mortality and causes of death in people living with HIV in Georgia. *Int J STD AIDS*, *30*(12), 1185-1193. doi: 10.1177/0956462419866055
- Chkhartishvili, N., Chokoshvili, O., Bolokadze, N., Tsintsadze, M., Sharvadze, L., Gabunia, P., . . . Tsertsvadze, T. (2017). Late presentation of HIV infection in the country of Georgia: 2012-2015. *PLoS One*, *12*(10), e0186835. doi: 10.1371/journal.pone.0186835
- Chkhartishvili, N., Sharvadze, L., Chokoshvili, O., Bolokadze, N., Rukhadze, N., Kempker, R. R., . . . Tsertsvadze, T. (2014). Mortality and causes of death among HIV-infected individuals in the country of Georgia: 1989-2012. *AIDS Res Hum Retroviruses*, *30*(6), 560-566. doi: 10.1089/AID.2013.0219
- Chkhartishvili, N., Sharvadze, L., Gabunia, P., Abutidze, A., Nikolaishvili, M., & Tsertsvadze, T. (2016). Late HIV diagnosis in Georgia: public health and economic implications. *Transl Clin Med Geo Med J*, *1*(1), 11-14.
- Crum-Cianflone, N. F., Grandits, G., Echols, S., Ganesan, A., Landrum, M., Weintrob, A., . . . Agan, B. (2010). Trends and causes of hospitalizations among HIV-infected persons during the late HAART era: what is the impact of CD4 counts and HAART use? *J Acquir Immune Defic Syndr*, *54*(3), 248-257. doi: 10.1097/qai.0b013e3181c8ef22
- Davy-Mendez, T., Napravnik, S., Wohl, D. A., Durr, A. L., Zakharova, O., Farel, C. E., & Eron, J. J. (2019). Hospitalization Rates and Outcomes among Persons Living with HIV in the

- Southeastern United States, 1996-2016. *Clin Infect Dis*. doi: ciz1043 [pii]10.1093/cid/ciz10435601948 [pii]
- Fischl, M. A., Richman, D. D., Grieco, M. H., Gottlieb, M. S., Volberding, P. A., Laskin, O. L., . . . et al. (1987). The efficacy of azidothymidine (AZT) in the treatment of patients with AIDS and AIDS-related complex. A double-blind, placebo-controlled trial. *N Engl J Med*, *317*(4), 185-191. doi: 10.1056/NEJM198707233170401
- Ford, N., Matteelli, A., Shubber, Z., Hermans, S., Meintjes, G., Grinsztejn, B., . . . Getahun, H. (2016). TB as a cause of hospitalization and in-hospital mortality among people living with HIV worldwide: a systematic review and meta-analysis. *J Int AIDS Soc*, *19*(1), 20714. doi: 10.7448/IAS.19.1.2071420714 [pii]
- Ford, N., Shubber, Z., Meintjes, G., Grinsztejn, B., Eholie, S., Mills, E. J., . . . Doherty, M. (2015). Causes of hospital admission among people living with HIV worldwide: a systematic review and meta-analysis. *Lancet HIV*, *2*(10), e438-444. doi: 10.1016/S2352-3018(15)00137-X
- Gallo, R. C., Sarin, P. S., Gelmann, E. P., Robert-Guroff, M., Richardson, E., Kalyanaraman, V. S., . . . Popovic, M. (1983). Isolation of human T-cell leukemia virus in acquired immune deficiency syndrome (AIDS). *Science*, *220*(4599), 865-867.
- Gulick, R. M., Mellors, J. W., Havlir, D., Eron, J. J., Gonzalez, C., McMahon, D., . . . Chodakewitz, J. A. (1997). Treatment with indinavir, zidovudine, and lamivudine in adults with human immunodeficiency virus infection and prior antiretroviral therapy. *N Engl J Med*, *337*(11), 734-739. doi: 10.1056/NEJM199709113371102
- Hammer, S. M., Squires, K. E., Hughes, M. D., Grimes, J. M., Demeter, L. M., Currier, J. S., . . . Fischl, M. A. (1997). A controlled trial of two nucleoside analogues plus indinavir in persons with human immunodeficiency virus infection and CD4 cell counts of 200 per cubic millimeter or less. AIDS Clinical Trials Group 320 Study Team. *N Engl J Med*, *337*(11), 725-733. doi: 10.1056/NEJM199709113371101

- Hontelez, J. A., Tanser, F. C., Naidu, K. K., Pillay, D., & Barnighausen, T. (2016). The Effect of Antiretroviral Treatment on Health Care Utilization in Rural South Africa: A Population-Based Cohort Study. *PLoS One*, *11*(7), e0158015. doi: 10.1371/journal.pone.0158015PONE-D-16-01248 [pii]
- Kempker, R. R., Mikiashvili, L., Zhao, Y., Benkeser, D., Barbakadze, K., Bablishvili, N., . . . Kipiani, M. (2019). Clinical Outcomes among Patients with Drug-resistant Tuberculosis receiving Bedaquiline or Delamanid Containing Regimens. *Clin Infect Dis*, ciz1107. doi: ciz1107 [pii]10.1093/cid/ciz11075622604 [pii]
- Kim, J. H., Pseudos, G., Jr., Gonzalez, E., Singh, S., Kilayko, M. C., & Sharp, V. (2013). All-cause mortality in hospitalized HIV-infected patients at an acute tertiary care hospital with a comprehensive outpatient HIV care program in New York City in the era of highly active antiretroviral therapy (HAART). *Infection*, *41*(2), 545-551. doi: 10.1007/s15010-012-0386-7
- Kiria, N., Avaliani, Z., & Mikiashvili, L. (2016). Steps of bedaquiline implementation in Georgia. *Eur Respir J*, *48*(Suppl 60), OA3516. doi: 10.1183/13993003.congress-2016.OA3516
- Kowalska, J. D., Friis-Moller, N., Kirk, O., Bannister, W., Mocroft, A., Sabin, C., . . . Lundgren, J. D. (2011). The Coding Causes of Death in HIV (CoDe) Project: initial results and evaluation of methodology. *Epidemiology*, *22*(4), 516-523. doi: 10.1097/EDE.0b013e31821b5332
- Mahlab-Guri, K., Asher, I., Bezalel-Rosenberg, S., Elbirt, D., & Sthoeger, Z. M. (2017). Hospitalizations of HIV patients in a major Israeli HIV/AIDS center during the years 2000 to 2012. *Medicine (Baltimore)*, *96*(18), e6812. doi: 10.1097/MD.00000000000006812
- Mocroft, A., Kirk, O., Aldins, P., Chies, A., Blaxhult, A., Chentsova, N., . . . Lundgren, J. D. (2008). Loss to follow-up in an international, multicentre observational study. *HIV Med*, *9*(5), 261-269. doi: 10.1111/j.1468-1293.2008.00557.xHIV557 [pii]

- Mocroft, A., Ledergerber, B., Katlama, C., Kirk, O., Reiss, P., d'Arminio Monforte, A., . . . Euro, S. s. g. (2003). Decline in the AIDS and death rates in the EuroSIDA study: an observational study. *Lancet*, *362*(9377), 22-29.
- Mocroft, A., Monforte, A., Kirk, O., Johnson, M. A., Friis-Moller, N., Banhegyi, D., . . . Euro, S. s. g. (2004). Changes in hospital admissions across Europe: 1995-2003. Results from the EuroSIDA study. *HIV Med*, *5*(6), 437-447. doi: 10.1111/j.1468-1293.2004.00250.x
- Mocroft, A., Reiss, P., Gasiorowski, J., Ledergerber, B., Kowalska, J., Chiesi, A., . . . Lundgren, J. (2010). Serious fatal and nonfatal non-AIDS-defining illnesses in Europe. *J Acquir Immune Defic Syndr*, *55*(2), 262-270. doi: 10.1097/QAI.0b013e3181e9be6b
- Mocroft, A., Sterne, J. A., Egger, M., May, M., Grabar, S., Furrer, H., . . . Saag, M. (2009). Variable impact on mortality of AIDS-defining events diagnosed during combination antiretroviral therapy: not all AIDS-defining conditions are created equal. *Clin Infect Dis*, *48*(8), 1138-1151. doi: 10.1086/597468
- Mocroft, A., Vella, S., Benfield, T. L., Chiesi, A., Miller, V., Gargalianos, P., . . . Lundgren, J. D. (1998). Changing patterns of mortality across Europe in patients infected with HIV-1. EuroSIDA Study Group. *Lancet*, *352*(9142), 1725-1730.
- Morris, A., Wachter, R. M., Luce, J., Turner, J., & Huang, L. (2003). Improved survival with highly active antiretroviral therapy in HIV-infected patients with severe *Pneumocystis carinii* pneumonia. *AIDS*, *17*(1), 73-80. doi: 10.1097/00002030-200301030-0001000002030-200301030-00010 [pii]
- Quan, V., Toro-Silva, S., Sriruttan, C., Chetty, V., Chihota, V., Candfield, S., . . . Govender, N. P. (2019). Pathways to care and outcomes among hospitalised HIV-seropositive persons with cryptococcal meningitis in South Africa. *PLoS One*, *14*(12), e0225742. doi: 10.1371/journal.pone.0225742PONE-D-19-20710 [pii]
- Rajasingham, R., Smith, R. M., Park, B. J., Jarvis, J. N., Govender, N. P., Chiller, T. M., . . . Boulware, D. R. (2017). Global burden of disease of HIV-associated cryptococcal

- meningitis: an updated analysis. *Lancet Infect Dis*, 17(8), 873-881. doi: S1473-3099(17)30243-8 [pii]10.1016/S1473-3099(17)30243-8
- Rein, S. M., Lampe, F. C., Chaloner, C., Stafford, A., Rodger, A. J., Johnson, M. A., . . . Smith, C. J. (2021). Causes of hospitalisation among a cohort of people with HIV from a London centre followed from 2011 to 2018. *BMC Infect Dis*, 21(1), 395. doi: 10.1186/s12879-021-06082-y10.1186/s12879-021-06082-y [pii]
- Seng, R., Mutuon, P., Riou, J., Duvivier, C., Weiss, L., Lelievre, J. D., . . . Salmon, D. (2018). Hospitalization of HIV positive patients: Significant demand affecting all hospital sectors. *Rev Epidemiol Sante Publique*, 66(1), 7-17. doi: S0398-7620(17)30525-4 [pii]10.1016/j.respe.2017.08.002
- UNAIDS. (2020). *2020 Global AIDS Update: Seizing the moment — Tackling entrenched inequalities to end epidemics*. Geneva: UNAIDS.
- Walzer, P. D., Evans, H. E., Copas, A. J., Edwards, S. G., Grant, A. D., & Miller, R. F. (2008). Early predictors of mortality from *Pneumocystis jirovecii* pneumonia in HIV-infected patients: 1985-2006. *Clin Infect Dis*, 46(4), 625-633. doi: 10.1086/526778
- Wasserman, S., Engel, M. E., Griesel, R., & Mendelson, M. (2016). Burden of pneumocystis pneumonia in HIV-infected adults in sub-Saharan Africa: a systematic review and meta-analysis. *BMC Infect Dis*, 16, 482. doi: 10.1186/s12879-016-1809-310.1186/s12879-016-1809-3 [pii]
- WHO Regional Office for Europe. (2019). *Compendium of good practices in the implementation of the Tuberculosis Action Plan for the WHO European Region 2016–2020*. Copenhagen: WHO/Europe.
- World Health Organization. (2020). Tuberculosis country profiles: Georgia Retrieved 13, 2020, from https://worldhealthorg.shinyapps.io/tb_profiles/
- Wu, L., Zhang, Z., Wang, Y., Hao, Y., Wang, F., Gao, G., . . . Zhao, H. (2019). A Model to Predict In-Hospital Mortality in HIV/AIDS Patients with *Pneumocystis Pneumonia* in

China: The Clinical Practice in Real World. *Biomed Res Int*, 2019, 6057028. doi:
10.1155/2019/6057028

ცერცვაძე, თ., ნელსონი, კ., ბუწაშვილი, მ., & გოჩიტაშვილი, ნ. (1999). *შიდსი*. თბილისი.

დანართი 1. შიდს- ასოცირებული სიკვდილის მიზეზები

შიდს-ინდიკატორული დაავადებები CDC კლასიფიკაციით:

- ბრონქების, ტრაქეის ან ფილტვის კანდიდოზი
- საყლაპავის კანდიდოზი
- საშვილოსნოს ყელის კიბო, ინვაზიური
- დისემინირებული ან ექსტრაპულმონალური კოქციოდითომიკოზი
- ექსტრაპულმონალური კრიპტოკოკოზი
- კრიპტოსპორიდიოზი, ქრონიკული ნაწლავური (1 თვეზე მეტი ხანგრძლივობის)
- ციტომეგალოვირუსული დაავადება (გარდა ღვიძლის, ელენთის, ლიმფური კვანძების)
- ციტომეგალოვირუსული რეტინიტი (მხედველობის დაკარგვით)
- აივ დაკავშირებული ენცეფალოპათია
- მარტივი ჰერპესი: ქრონიკული წყლულები (1 თვეზე მეტი ხანგრძლივობის) ან ბრონქიტი, პნევმონიტი ან ეზოფაგიტი (დასაწყისი 1 თვეზე მეტი ხნის ასაკში)
- ჰისტოპლაზმოზი, დისემინირებული ან ექსტრაპულმონარული
- იზოზპორიაზი, ქრონიკული ნაწლავური (1 თვეზე მეტი ხანგრძლივობის)
- კაპოშის სარკომა
- ბერკიტის ლიმფომა (ან ექვივალენტური ტერმინი)
- იმუნობლასტური ლიმფომა (ან ექვივალენტური ტერმინი)
- თავის ტვინის პირველადი ლიმფომა
- *Mycobacterium avium* კომპლექსი ან *Mycobacterium kansasii*, დისემინირებული ან ექსტრაპულმონალური
- *Mycobacterium tuberculosis* ნებისმიერი ლოკალიზაციის, პულმონალური, დისემინირებული, ანექსტრაპულმონალური

- Mycobacterium, გარდა დასახელებულისა ან დაუდგენელი სახეობის, დისემინირებული ან ექსტრაპულმონალური
- Pneumocystis jirovecii პნევმონია
- მორეციდივე პნევმონია
- პროგრესული მულტიფოკალური ლეიკოენცეფალოპათია
- Salmonella სეპტიცემია, რეკურენტული
- თავის ტვინის ტოქსოპლაზმოზი (დასაწყისი 1 თვეზე მეტი ხნის ასაკში)
- აივ ასოცირებული განლევის სინდრომი

CoDe პროტოკოლით გათვალისწინებული დამატებითი მდგომარეობები:

- ინვაზიური ასპერგილოზი
- ბართონელოზი
